

**სსიპ პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი
ნარჩენების უტილიზაციის წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის, შექმნილი პროდუქტის და ნარჩენების უტილიზაციის წესებს. წესი შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ზოგად დებულებებთან.
2. სსიპ პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის, შექმნილი პროდუქტის და ნარჩენების უტილიზაციის პროცედურებში ჩართული პირები არიან: დირექტორი/დირექტორის მოადგილე; ადმინისტრაციის წარმომადგენლები: სასწავლო პროცესისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, შესყიდვების სპეციალისტი, მთავარი ბუღალტერი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მენეჯერი, ლოჯისტიკი და სხვა.
3. მე-2 პუნქტში მითითებული პირები მოქმედებენ „ნარჩენების მართვის კოდექსით“, „პროფესიული განათლების შესახებ“, „შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარი ნორმატიული აქტებით, კოლეჯის წესდებით, სამსახურის დებულებებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ამ წესით.

**მუხლი 2. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი
ნარჩენების უტილიზაციის წესი**

1. განხორციელებული უტილიზაციის პროცედურის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს კოლეჯის დირექტორისადმი წარდგენილ სამსახურებრივ ბარათში.
2. კოლეჯის ტერიტორიაზე ნარჩენების ორგანიზებული შეგროვების, დროებითი შენახვის და ტრანსპორტირების სისტემა მოიცავს შემდეგ რგოლებს:
 - ა) ნარჩენების შეგროვება, ტიპობრივად დახარისხება სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო სივრცეში (ბაზაზე);
 - ბ) ნარჩენების გადატანა სანაგვე კონტეინერებში;
 - გ) სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვა კოლეჯის ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ კონტეინერებში, ხოლო არასახიფათო (უსაფრთხო) ნარჩენები შეიძლება განთავსდეს მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში.

მუხლი 3. კონტროლი და პასუხისმგებლობა

ამ წესის მითითებული პირობების კონტროლი ეკისრება კოლეჯის დირექტორს, ხოლო პასუხისმგებლობა შესაძლო შედეგებზე ეკისრება დირექტორის მოადგილეს, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მენეჯერს, სასწავლო პროცესისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს, დამლაგებელს.

მუხლი 4. წესში ცვლილებები და დამატებების შეტანა

წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.